+ 16

პ რ ო ე ქ ტ ი

განკარგულება №

2021 წლის -------აგვისტო

ქ. წყალტუბო

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ “ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს ანგარიში 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ. ზერაძე

შეთანხმებულია ლ. კაკრიაშვილი

6003

# წყალტუბოს ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''

ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩა, 1-ლი შესახვ.№2 ტელ. 577957111 ს/კ421271206

31-33-2-202108101436

N 33/31

10/08/2021

წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

წყალტუბოს ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს დირექცია გიგზავნით ანგარიშს 2020 წელში და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ .

დანართი- 3 ფურცლად,

ნინო ნემსწვერიძე

დირექტორი

6004

# 2020 წლის და 2021 წლის I-II კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი'' დაარსდა 2015 წელს. ცენტრი სრულად ფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ.

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ში 2020 და 2021 წლის I-II კვარტალში ირიცხებოდა 17 ბენეფიციარი

შემდეგი დაავადებებით:

1. დაუნის სინდრომით
1. აუტისტური სპექტრით
2. ცერებრალური დამბლით
3. გონებრივი შეზღუდვით

ცენტრში დასაქმებულია 16 ადამიანი

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს ხარჯთაღრიცხვა 2020 წელს შეადგენდა 110 500 ლარს. აქედან ათვისებული იქნა 99 218.63 ლარი

2021 წლის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 210 900 ლარს.

აქედან სუბსიდია 122 900 ლარი,არაფინანსური აქტივი 88 000 ლარი (მოგებული გრანტის თანხა ადაპტირებული ავტომანქანის შესაძენად,აქედან 20 % თანადაფინანსება)

პირველ ექვსი თვის განმავლობაში ათვისებულია 137 255,69 ლარი, აქედან სუბსიდია 49 255,69 ლარი . არაფინანსური აქტივი - 88 000 ლარი

ცენტრი ახორციელებს შშმ პირთა ზრუნვის პროგრამას. ჯანდაცვის სამინისტროს დადგენილების რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამას, ინტეგრაციას, ინკლუზიურ განათლებას.

წყალტუბოში და წყალტუბოდან 15-20 კმ -ის რადიუსში მცხოვრებ ბენეფიციარებს ემსახურება ცენტრის კუთვნილი მიკროავტობუსი.

ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებით. ორივე კვება სამ/კომპონენტიანია. ხორცის და თევზის პროდუქტების შემოტანა ხდება კვირაში 4-ჯერ, ყოველდღიურად.

თითოეულ ბავშვზე გათვლილია კალორაჟი. მიღებული საკვების ნიმუშები 24 საათის განმავლობაში ინახება მაცივარში (უსაფრთხოების თვალსაზრისით).

ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, სენსორული ინტეგრაციისათვის სენსორული ოთახით, მუსიკალური ინსტრუმენტით, რომლის საშუალებითაც ხდება ბენეფიციარების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. ცენტრი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორით, ლამინირების აპარატით. ცენტრში ფუნქციონირებს ვიდეოთვალი.

კოვიდ 19-ის პანდემიამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს მუშაობაში. ცენტრი გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად შემუშავებული იქნა თითოეულ ბენეფიციართან მუშაობის ინდივიდუალური სამუშაო გეგმა. ხდებოდა ონლაინ ჩართვები ბენეფიციართა შესაძლებლობიდან გამომდინარე.

მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგი უნარების განვითარების მიმართულებით:

6003

1. აკადემიური უნარები
2. მეტყველების უნარები
3. ქცევა.

ცენტრში ყოფნის პერიოდში ბენეფიციარებთან მუშაობა გრძელდებოდა შემდეგი უნარების განვითარებაზე:

1.ფუნქციური უნარები (ყოფითი უნარ-ჩვევები)

2.მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები

3.კოგნიტური უნარები

4.ემოციურ სოციალური სფერო.

თითოეულ ბენეფიციართან მიმდინარეობს სწავლება როგორ უნდა დაიცვან პანდემიის პირობებში რეგულაციები.

1. პირბადის ტარება
2. ხელების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარით (დისპენსერის გამოყენება).
3. დისტანციის დაცვა
4. ხელების ხშირი დაბანა.
5. სუნთქვითი ვარჯიშები

პანდემიამ გარკვეული კვალი დატოვა თითოეული ბენეფიციარის განვითარებაში. თუ კი მიღწევები წინა წლებში მაღალი იყო, 2020 წელს და 2021 წლის I-II კვარტალში ეს შედეგები შედარებით ნაკლებია. თითოეული ბენეფიციარის მშობელი მწვავედ განიცდის იმ მდგომარეობას, რომ ბავშვები სახლში აღმოჩნდნენ. 2020 წელს „ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრი"-ს შეუსრულდა დაარსებიდან 5 წელი. სურვილი გვქონდა გაგვემართა იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, რაც ვერ შევძელით ქვეყანაში გავრცელებული ეპიდვითარების გამო, ასევე შევაჩერეთ სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარება.

აგრეთვე 2021 წლის I-II კვარტალში კოვიდ 19-ის ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე შეზღუდულ იქნა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, ექსკურსიები, მიუხედავად ამისა ცენტრში ჩატარებული იქნა შიდა ღონისძიებები: ავღნიშნეთ ქალთა საერთაშორისო დღე, ბავშვებმა თავისი ხელით შექმნილი საჩუქრებით დედებს მიულოცეს 8 მარტი. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა საჩუქრები გადასცეს ბენეფიციარებს.

2020 წელს „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-მა გაიმარჯვა ევროკავშირისა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ მხარდაჭერილი წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG Tskaltubo) მიერ გამოცხადებულ 2020 წლის საგრანტო კონკურსში და მოვიპოვეთ დაფინანსება 88 000 ლარის ოდენობით, აქედან პროექტის ღირებულების 20% ფინანსდება წყალტუბოს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ. ამ თანხით 2021 წლის II კვარტალში ორგანიზაციამ შეისყიდა ბენეფიციართა ტრანსპორტირებისთვის საჭირო ერთი ერთეული შშმ პირებისთვის ადაპტირებული მიკროავტობუსი .

ორგანიზაცია „ნოდია, უდუმაშვილი პარტნიორები"-მა ცენტრს 2020 წელს საჩუქრად გადასცა შვედური კედელი, რომლის ღირებულებაა 2300 ლარი.

ბექა პაპელიშვილმა საახალწლოდ საჩუქრები გადასცა თითოეულ ბენეფიციარს ტკბილეულის კალათა.

6006

2021 წლის I კვარტალში კომპანია IGRC Georgia ინდო ქართული საბჭო-მ ცენტრს გადასცა შშმ პირებისთვის განკუთვნილი ადაპტური სათამაშოები და ყველა ბენეფიციარს რომელთაც შეუსრულდა 18 წელი და აღარ ირიცხებიან ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში იგივე კომპანიისგან საჩუქრად გადაეცათ სასურსათო და პირადი ჰიგიენის მოხმარების კალათი.

„ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრი"-ს 2020 წელს და 2021 წლის I-II კვარტალში უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ

1. შპს „ჰიგია" - ხელ-ი კ. კიკვიძე და ც. გურეშიძე
2. შპს „ ერი" - ხელ-ი რ. კუხალაშვილი
3. შპს "ფლაინეტი" ხელ-ი- გ. ყუფარაძე

მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ზრუნავენ ბენეფიციარების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათი კეთილდღეობისათვის.

6007

16

პ რ ო ე ქ ტ ი

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2021 წლის -------აგვისტო

ქ. წყალტუბო

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ "ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს ანგარიში 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

5096

წერილის ნომერი:**49-49212252**
თარიღი: **13/08/2021**

**ადრესატი:**

ლაშა კაკრიაშვილი
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ ლაშა კაკრიაშვილს

ბატონო ლაშა,

წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს -**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს მიერ 2020 წლის და 2021 წლის I -II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ,"** კომისიის სხდომაზე განსახილველად.

მაია ბერაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

5097

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

# დ ა ს კ ვ ნ ა

ა(ა)იპ ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ 2021 წლის 27 აგვისტოს კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში - ა(ა)იპ ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ა(ა)იპ ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი“-ს მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, რომელზედაც საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
ლაშა კაკრიაშვილი

5098

# წყალტუბოს ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''

ქ.წყალტუბო, 9 აპრილის ქუჩა, 1-ლი შესახვ.№2 ტელ. 577957111 ს/კ421271206

31-33-2-202108101436

N 33/31

10/08/2021

წყალტუბოს საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

წყალტუბოს ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს დირექცია გიგზავნით ანგარიშს 2020 წელში და 2021 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ .

დანართი- 3 ფურცლად,

ნინო ნემსწვერიძე

დირექტორი

5099

# 2020 წლის და 2021 წლის I-II კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი'' დაარსდა 2015 წელს. ცენტრი სრულად ფინანსდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ.

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ში 2020 და 2021 წლის I-II კვარტალში ირიცხებოდა 17 ბენეფიციარი

შემდეგი დაავადებებით:

1. დაუნის სინდრომით
1. აუტისტური სპექტრით
2. ცერებრალური დამბლით
3. გონებრივი შეზღუდვით

ცენტრში დასაქმებულია 16 ადამიანი

ა(ა) იპ ''ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს ხარჯთაღრიცხვა 2020 წელს შეადგენდა 110 500 ლარს. აქედან ათვისებული იქნა 99 218.63 ლარი

2021 წლის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 210 900 ლარს.

აქედან სუბსიდია 122 900 ლარი,არაფინანსური აქტივი 88 000 ლარი (მოგებული გრანტის თანხა ადაპტირებული ავტომანქანის შესაძენად,აქედან 20 % თანადაფინანსება)

პირველ ექვსი თვის განმავლობაში ათვისებულია 137 255,69 ლარი, აქედან სუბსიდია 49 255,69 ლარი . არაფინანსური აქტივი - 88 000 ლარი

ცენტრი ახორციელებს შშმ პირთა ზრუნვის პროგრამას. ჯანდაცვის სამინისტროს დადგენილების რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამას, ინტეგრაციას, ინკლუზიურ განათლებას.

წყალტუბოში და წყალტუბოდან 15-20 კმ -ის რადიუსში მცხოვრებ ბენეფიციარებს ემსახურება ცენტრის კუთვნილი მიკროავტობუსი.

ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებით. ორივე კვება სამ/კომპონენტიანია. ხორცის და თევზის პროდუქტების შემოტანა ხდება კვირაში 4-ჯერ, ყოველდღიურად.

თითოეულ ბავშვზე გათვლილია კალორაჟი. მიღებული საკვების ნიმუშები 24 საათის განმავლობაში ინახება მაცივარში (უსაფრთხოების თვალსაზრისით).

ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, სენსორული ინტეგრაციისათვის სენსორული ოთახით, მუსიკალური ინსტრუმენტით, რომლის საშუალებითაც ხდება ბენეფიციარების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. ცენტრი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, პროექტორით, ლამინირების აპარატით. ცენტრში ფუნქციონირებს ვიდეოთვალი.

კოვიდ 19-ის პანდემიამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს მუშაობაში. ცენტრი გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. მულტიდისციპლინარულ გუნდთან ერთად შემუშავებული იქნა თითოეულ ბენეფიციართან მუშაობის ინდივიდუალური სამუშაო გეგმა. ხდებოდა ონლაინ ჩართვები ბენეფიციართა შესაძლებლობიდან გამომდინარე.

მუშაობა მიმდინარეობდა შემდეგი უნარების განვითარების მიმართულებით:

6000

1. აკადემიური უნარები
2. მეტყველების უნარები
3. ქცევა.

ცენტრში ყოფნის პერიოდში ბენეფიციარებთან მუშაობა გრძელდებოდა შემდეგი უნარების განვითარებაზე:

1.ფუნქციური უნარები (ყოფითი უნარ-ჩვევები)

2.მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები

3.კოგნიტური უნარები

4.ემოციურ სოციალური სფერო.

თითოეულ ბენეფიციართან მიმდინარეობს სწავლება როგორ უნდა დაიცვან პანდემიის პირობებში რეგულაციები.

1. პირბადის ტარება
2. ხელების დამუშავება სადეზინფექციო ხსნარით (დისპენსერის გამოყენება).
3. დისტანციის დაცვა
4. ხელების ხშირი დაბანა.
5. სუნთქვითი ვარჯიშები

პანდემიამ გარკვეული კვალი დატოვა თითოეული ბენეფიციარის განვითარებაში. თუ კი მიღწევები წინა წლებში მაღალი იყო, 2020 წელს და 2021 წლის I-II კავარტალში ეს შედეგები შედარებით ნაკლებია. თითოეული ბენეფიციარის მშობელი მწვავედ განიცდის იმ მდგომარეობას, რომ ბავშვები სახლში აღმოჩნდნენ. 2020 წელს „ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრი"-ს შეუსრულდა დაარსებიდან 5 წელი. სურვილი გვქონდა გაგვემართა იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება, რაც ვერ შევძელით ქვეყანაში გავრცელებული ეპიდვითარების გამო, ასევე შევაჩერეთ სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარება.

აგრეთვე 2021 წლის I-II კვარტალში კოვიდ 19-ის ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე შეზღუდულ იქნა კულტურული და სპორტული ღონისძიებები, ექსკურსიები, მიუხედავად ამისა ცენტრში ჩატარებული იქნა შიდა ღონისძიებები: ავღნიშნეთ ქალთა საერთაშორისო დღე, ბავშვებმა თავისი ხელით შექმნილი საჩუქრებით დედებს მიულოცეს 8 მარტი. დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა საჩუქრები გადასცეს ბენეფიციარებს.

2020 წელს „ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-მა გაიმარჯვა ევროკავშირისა და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ მხარდაჭერილი წყალტუბოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG Tskaltubo) მიერ გამოცხადებულ 2020 წლის საგრანტო კონკურსში და მოვიპოვეთ დაფინანსება 88 000 ლარის ოდენობით, აქედან პროექტის ღირებულების 20% ფინანსდება წყალტუბოს ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ. ამ თანხით 2021 წლის II კავარტალში ორგანიზაციამ შეისყიდა ბენეფიციართა ტრანსპორტირებისთვის საჭირო ერთი ერთეული შშმ პირებისთვის ადაპტირებული მიკროავტობუსი .

ორგანიზაცია „ნოდია, უდუმაშვილი პარტნიორები"-მა ცენტრს 2020 წელს საჩუქრად გადასცა შვედური კედელი, რომლის ღირებულებაა 2300 ლარი.

ბექა პაპელიშვილმა საახალწლოდ საჩუქრები გადასცა თითოეულ ბენეფიციარს ტკბილეულის კალათა.

2021 წლის I კვარტალში კომპანია IGRC Georgia ინდო ქართული საბჭო-მ ცენტრს გადასცა შშმ პირებისთვის განკუთვნილი ადაპტური სათამაშოები და ყველა ბენეფიციარს რომელთაც შეუსრულდა 18 წელი და აღარ ირიცხებიან ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში იგივე კომპანიისგან საჩუქრად გადაეცათ სასურსათო და პირადი ჰიგიენის მოხმარების კალათი.

„ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრი“-ს 2020 წელს და 2021 წლის I-II კვარტალში უსასყიდლოდ ემსახურებოდნენ

1. შპს „ჰიგია“ - ხელ-ი კ. კიკვიძე და ც. გურეშიძე
2. შპს „ ერი“ - ხელ-ი რ. კუხალაშვილი
3. შპს “ფლაინეტი“ ხელ-ი- გ. ყუფარაძე

მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ზრუნავენ ბენეფიციარების მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მათი კეთილდღეობისათვის.

6002